

# აქტუალური მიდგომები და ენის ტექნოლოგიები თარგმანმცოდნეობის სასწავლო პროგრამებში

*კაპანაძე ნუნუ – ასოცირებული პროფესორი, გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*ქიმერიძე ნინო – ასოცირებული პროფესორი, გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ივანე  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

## Current Approaches and Language Technologies in the Curricula of Translation Studies

**Kapanadze Nunu** – Associate Professor, Department of German Philology, Ivane Javakhishvili Tbilisi State  
University, Tbilisi, Georgia

**Kimeridze Nino** – Associate Professor, Department of German Philology, Ivane Javakhishvili Tbilisi State  
University, Tbilisi, Georgia

### Abstract

**Introduction and aim.** In the light of modern developments, technological equipment of humanities is unavoidable because the demand for the interdisciplinary and technological professions is growing steadily. In the meantime, this demand is not adequately met. For this reason, we are concerned with the problems of translating / interpreting.

**Research methodology.** To deal with the problem, the compulsory standards compiled by the EU Commission for the Bachelor and Master degree courses in Translation / Interpreting, corresponding curricula and courses at various European universities have been analyzed. On the basis of the obtained results, the situation in Georgia will be discussed.

**Results and implications.** Translation competencies are interdisciplinary. The EMT framework comprises six “minimum” competences which pertain to professions involving multilingual and multimedia communication, translation, and different modes of interpreting. Its six competences are considered equally important, yet they are not entirely distinct categories as they are treated as interdependent or even overlapping: translation service provision competencies, i.e. language competence, intercultural competence, data-mining competence, technological competence and thematic competence (EMT expert group 2009: 4).

These requirements are not fulfilled in our country because the curricula and courses (one Bachelor and two Master degree courses) deviate from the international standard even in the starting condition (first foreign language C1, second foreign language B2), let alone the subjects and study contents.

**Conclusion.** The acquisition of a competitive and highly qualified profession is hardly possible only on the basis of “traditional” translation science subjects without including modern technological equipment, the corresponding software, translation memories, terminological, sentence and text genre banks, computer-assisted translation systems, etc.

It is to emphasize that, with the best intentions of the academic staff and students, it is an area where solid support is needed not only from a university, but from the state and industry because such professions require a costly guarantee. For this, the results obtained later will exceed the costs in more than few times.

**Keywords.** EMT framework, translating, interpreting, interdisciplinary, technological, intercultural, multilingual, multimedia communication

## 1. შესავალი

თანამედროვე განვითარების ფონზე აუცილებელია ჰუმანიტარული მიმართულებების რეალური ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, რადგან ჰუმანიტარული დარგის ინტერდისციპინურ პროფესიებზე სამუშაო ბაზარზე სტაბილური მოთხოვნაა. მაგალითისათვის ყველა ევროპულ ქვეყანაში შესაძლებელია მთარაგმელისა და თარჯიმანის პროფესიის საწყისების დაუფლება (ზოგჯერ სამწლიანი) საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში, ხოლოს სამაგისტრო პროგრამებში კი კვალიფიცირებული მთარგმნელის, მათ შორის დარგობრივი მთარგმნელისა და თარჯიმანის (საკონფერენციო თარჯიმანი) კომპეტენციების შექმნა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროფესიების დასაუფლებლად დამატებითი დარგობრივი ცოდნა და კომპეტენციებია საჭირო, მათი შექმნა კი მხოლოდ სათანადო სასწავლო გეგმებისა და სასწავლო კურსების შემუშავების შედეგად არის შესაძლებელი.

ამ ვითარებაში საქართველო იმ იშვიათ ქვეყანათა რიგში ექცევა, სადაც უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მთარგმნელის/თარჯიმანის ჯეროვანი ხარისხის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა თითქმის შეუძლებელია. შემთავზებული ორიოდ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა ვერანაირად აკმაყოფილებს ამ დარგისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს უდავო ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საბაკალავრო განათლების საფეხურზე საერთოდ არ არის გათვალისწინებული კვალიფიკაცია BA in Translation studies. ისიც სერიოზული რევიზიის საგანია სამაგისტრო სწავლების ფარგლებში არსებული პროგრამები რამდენად აკმაყოფილებენ მისანიჭებელი კვალიფიკაციის (MA in Translation studies) მოთხოვნას. ამ ვითარებას ასევე ნაკლებად თუ შეცვლიან უცხოენოვანი ფილოლოგიების სასწავლო პროგრამებში შეთავზებული ცალკეული საგნები, რადგან მთარგმნელობითი, განსაკუთრებით დარგობრივი მთარგმნელობითი და სათარჯიმნო კომპეტენციები საფუძვლიანად განსხვავდება ფილოლოგიურისაგან. ამას კი “ტრადიციული” მთარგმნელობითი საგნების გვერდით განაპირობებს ენის თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც არის მთარგმნელობითი მეხსიერებები, ტერმინოლოგიური, წინადადებების და ტექსტის სახეობების მონაცემთა ბანკების, კომპიუტერზე დაფუძნებული მთარგმნელობითი, ტექსტის დამუშავების სისტემები და სხვა მრავალი ტექნოლოგიური სიახლე.

ამდენად აქტუალურია, თუ რა კომპეტენციებს უნდა ფლობდნენ ამ პროფესიის მქონე პირები და რა გზით შეიძლება მათი შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც ყველაზე მოტივირებული წამოწყების შემთხვევაში აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა მხრივ, ეს ის სფეროა, სადაც სერიოზული მხარდაჭერა არის საჭირო არამხოლოდ კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის, არამედ სახელმწიფოს, კერძო საწარმოების მხრიდან, რადგან ასეთი პროფესიების სწავლება საკმაოდ ძვირადღირებულ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას უკავშირდება. თუმცა წლების შემდეგ მიღებული შედეგები რამდენჯერმე აღემატება გაღებულ ხარჯებს. ამიტომაც არის, რომ ამ კუთხით წარმატებები აქვთ არა თუ მაღალი ტექნოლოგიური განვითარების ქვეყნებს, არამედ აფრიკის ქვეყნებს, რუმინეთს, ბულგარეთს და ა.შ. სამწუხაროდ, საქართველოში ამ კუთხით რაიმე სერიოზული ტექნოლოგიური სიახლეები ნაკლებად გვაქვს.

ამრიგად, ჩვენი მიზანია მხარი ავუბათ დისკუსიას კომპეტენციების ეროვნული ჩარჩოს მოდიფიცირების შესახებ, რადგან სრულიად აშკარაა მოთხოვნა პრაქტიკაზე ორიენტირებულ, ტექნოლოგიურად უზრუნველყოფილ პროფესიებზე, რომელიც ქართულ ბაზარზე ნაკლებადაა წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მაგ., დარგობრივი თარჯიმანის სპეციალისტები, საკონფერენციო და დარგობრივი თარჯიმნები და ა.შ.

## 2. კვლევის მეთოდოლოგია.

საკითხის შემდგომ ანალიზამდე განვიხილოთ ის უნარები და კომპეტენციები, რომლებიც მთარგმნელის/თარჯიმანის და მრავალენოვანი კომუნიკაციის სპეციალობის დასაუფლებლად არის აუცილებელი, რათა კურსდამთავრებული სათანადო კომპეტენციებს ფლობდეს და კონკურენტუნარიანი იყოს შრომით ბაზარზე. თავდაპირველად გავმიჯნავთ ერთმანეთისგან უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს, გარკვევით ჩამოვთვლით ევროპის კომისიის ექსპერტთა ჯგუფის [4] მიერ შემუშავებულ “კომპეტენციების პროფილს მთარგმნელებისთვის, მრავალენოვანი და მულტიმედიური კომუნიკაციის ექსპერტებისათვის”. აღნიშნული მონაცემების ფონზე განვიხილავთ საქართველოში არსებულ მსგავს პროგრამებს, ზოგადად, საქართველოში ამ კუთხით შექმნილ ვითარებას

ვიდრე თარგმანში ევროპის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად შემუშავებულ კომპეტენციებს კონკრეტულად განვიხილავთ, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებიც ასე განისაზღვრება კომპეტენციების ევროპულ ჩარჩოში: „Skill is a learnt capacity to carry out pre-determined results often with the minimum outlay of time, energy, or both; the ability to apply knowledge and use know-how to complete tasks and solve problems“. [5]. უნარ-ჩვევებში იგულისხმება შესწავლილი (შემენილი) უნარი მოცემული შედეგები დროის, ენერჯის (ან ორივეს ერთად) მინიმალური დანახარჯების გზით განხორციელდეს. ეს არის ცოდნისა და ე. წ. Know-how გამოყენების უნარი ამოცანების შესასრულებლად და პრობლემების გადასაჭრელად.

რაც შეეხება კომპეტენციებს, რასაც სწავლების და სწავლის შემდგომ იღებს კონკრეტული პროგრამის მონაწილე, ის ცოდნის, გაცნობიერების, უნარების და შესაძლებლობების კომბინაციაა:

*„Competence is a general ability to perform a specific task, action or function successfully on the grounds of the existing knowledge, skills and attitude system; a combination of knowledge, skills and attitudes appropriate to the context; the proven ability to use knowledge, skills and personal, social and/or methodological abilities, in work or study situations and in professional and personal development.“*

[8; 5].

ამდენად, კომპეტენციები კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს მიხედვით კომპეტენცია აღწერილია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ტერმინების მეშვეობით და ერთმანეთისაგან განასხვავებენ საკვანძო და პროფესიულ კომპეტენციებს. მათ შორის საკვანძო კომპეტენციები ის კომპეტენციებია, რომლებიც ჭირდება ყველა ინდივიდს პიროვნული რეალიზაციისა და განვითარებისთვის, აქტიური სამოქალაქო პოზიციისათვის, სოციალური ჩართულობისა და პროფესიული საქმიანობისათვის: „Key competences are competences that all individuals need for personal fulfilment and development, active citizenship, social inclusion and employment.“ [8]. ხოლო დარგობრივი კომპეტენცია - უნარი, რომლის მეშვეობითაც პიროვნებამ უნდა შეძლოს ზოგადად განახორციელოს თავისი პროფესიული ვალდებულებები, ან განსაკუთრებული პროფესიული ამოცანა, სათანადო ხარისხის უნარ-ჩვევის დახმარებით: „Professional competence is capability to perform the duties of one's profession generally, or to perform a particular professional task, with skill of an acceptable quality“ [8].

არსებობს მოსაზრება [11], რომ კომპეტენცია შეუძლებელია ასწავლო, თუმცა სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, განივითარონ თავისი პრაგმატული კომპეტენცია. ედვარდს/ცისიერის [2] მოსაზრებით კომპეტენცია ცოდნის ტიპია, რომელიც მსწავლელს აქვს და რომელსაც იგი ივითარებს, იძენს, იყენებს ან ჰკარგავს.

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო რვა საკვანძო კომპეტენციას ასახელებს [3]: 1. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; 2. უცხოურ ენაზე კომუნიკაცია; 3. მათემატიკური კომპეტენცია; 4. ციფრული კომპეტენცია; 5. სწავლის სწავლის კომპეტენცია; 6. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია; 7. ინიციატივა და მეწარმეობა; 7. კულტურული შეგნება და გამოხატვა (Cultural awareness and expression).

კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე და უცხოურ ენებზე მთარგმნელებისთვის შესაბამისად თარჯიმნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციებია და ისინი მჭიდროდ უკავშირდება ენობრივ კომპეტენციას. უნარები, რომლებიც მთარგმნელს/თარჯიმანს ჭირდება არის არა მხოლოდ გრამატიკის ან ლექსიკის ცოდნა, არამედ მშობლიური ენისა და უცხოური ენების საზოგადოებრივი და კულტურული ასპექტების გაცნობიერება, ასევე ზეპირი და წერილობითი ტექსტის გაგება და პროდუცირება.

მათემატიკური კომპეტენცია ამ პროფესიაში შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა. EMT-ს ექსპერტთა ჯგუფს ის არ განუსაზღვრავს და ამდენად, არც ჩვენ ანალიზშია გათვალისწინებული.

ციფრული კომპეტენცია ტექნოლოგიური კომპეტენციის სახელით არის ასევე ცნობილი და გულისხმობს იმის ცოდნას, თუ როგორ შეიძლება საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად და სწრაფად გამოყენება, სხვადასხვა პროგრამული ხელსაწყოების გამოყენება კორექტურაში, თარგმანში, ტერმინოლოგიაში. მთარგმნელს ჭირდება კომპეტენცია მოძებნოს, შეაფასოს, შეინახოს, შექმნას, წარმოადგინოს და გაცვალოს ინფორმაცია, მონაწილეობა მიიღოს კოლაბორაციულ ქსელებში ინტერნეტის მეშვეობით.

სწავლის სწავლის კომპეტენცია (ანუ სწავლის ტექნიკის დაუფლება) შეიძლება დაუკავშიროთ თემატურ (დარგობრივ) კომპეტენციას, რომელსაც EMT-ს ექსპერტები განსაზღვრავენ [4] როგორც იმის შესწავლას, თუ

როგორ განვიითაროს ინდივიდმა სპეციალური ცოდნა დარგობრივ სფეროებში. ეს კომპეტენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთარგმნელებისათვის, რადგან მათ ხშირად უწევთ ახალი ინფორმაციის მოპოვება და გაგება დროის მოკლე პერიოდში. უფრო მეტიც, რამდენადაც მთარგმნელის პროფესია მჭიდროდ არის დაკავშირებული უწყვეტ განათლებასთან, ძალზე მნიშვნელოვანია იმის კომპეტენცია, თუ როგორ უნდა ისწავლო.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია მულტიკულტურულ მეთოდებს უკავშირდება: ტექსტთან ან დისკრუსთან ერთად მთარგმნელი/თარჯიმანი სწავლობს კულტურულ ასპექტებს. მათ ჭირდებათ ეს უნარები, რათა შეძლონ კონსტრუქციული კომუნიკაცია სხვადასხვა გარემოში, გამოხატონ ტოლერანტული დამოკიდებულება, გაიზიარონ განსხვავებული მოსაზრებები, გამართონ მოლაპარაკებები, გაუმკლავდნენ სტრესს და გულგატეხილობს, იმუშაონ ჯგუფში და ითანამშრომლონ პირდაპირი წესით ან ინტერნეტის მეშვეობით. სამოქალაქო კომპეტენცია მოიცავს მიმდინარე პროცესების, მთავრი მოვლენებისა და ტენდენციების ცოდნას, მიზნების გაცნობიერებას, სოციალური და პოლიტიკური მოძრაობების, ღირებულებებისა და პოლიტიკის ცოდნას.

ინიციატივა და მეწარმეობა ნაწილობრივ უკავშირდება მთარგმნელობით სამსახურის უზრუნველყოფის კომპეტენციას. ის მოიცავს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ხარისხის სტანდარტების მონიტორინგს, პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, უნარს, შეაფასოს პიროვნების ძალისხმევა და სისუსტეები, მოტივაცია და გადაწყვეტილება მიზნების მისაღწევად, ასევე შეაფასოს და გასწიოს რისკი.

კულტურული შეგნება და გამოხატვა ასევე იწოდება ინტერკულტურულ კომპეტენციად. იგი გულისხმობს იმის ცოდნას, თუ როგორ ამოვიცნოთ ფუნქცია და მნიშვნელობა ენის ვარიანტებში, როგორ მოვახერხოთ ინტერაქციის მიზნით იმ წესების იდენტიფიცირება, რომლებიც სპეციფიკურ საზოგადოებას უკავშირდება, არავერბალური ელემენტების ჩათვლით, როგორ ამოვიცნოთ გარკვეული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ღირებულებები და მიმართებები, როგორ დაუკავშიროთ ერთმანეთს და შევადაროთ კულტურის ელემენტები.

მთარგმნელების საკვანძო კომპეტენციები EMT-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარაა განსაზღვრული და სტანდარტიზირებული. მთარგმნელებს მთელი რიგი კომპეტენციები ჭირდებათ, რათა ჯეროვნად განახორციელონ მთარგმნელობითი სამუშაო და ასევე წარმატებით იმუშაონ სწრაფად განვითარებადი მრავალენოვანი და მულტიმედიური კომუნიკაციის სფეროში. ევროკავშირის ინსტიტუტებში მომუშავე მთარგმნელებისათვის საბაზისო კომპეტენციების განსაზღვრის მიზნით შეიქმნა ევროპის კომისიის EMT-ს პროექტი [4].

თარგმნის კომპეტენციების შედგენა გრადუალური პროცესია და იგი დიდ წილად განიცდის ტექსტების/ჟანრების სირთულის ხარისხის გავლენას, რასთანაც აქვს შეხება მთარგმნელს. აქედან გამომდინარე, რაც უფრო რთულია ტექსტი, მით უფრო მაღალი კომპეტენციას მოითხოვს იგი მთარგმნელისაგან.

აქედან გამომდინარე, EMT-ის საპროექტო ჯგუფმა გამოაპირობა შემდეგი სავალდებულო კომპეტენციები: 1. მთარგმნელობითი მომსახურების უზრუნველყოფის კომპეტენცია (Translation Service Provision Competence), რომელიც მოიცავს ინტერპერსონალურ განზომილებას და პროდუცირების განზომილებას; 2. ენის კომპეტენცია; 3. ინტერკულტურული კომპეტენცია; 4. ინფორმაციის მოპოვების კომპეტენცია; 5. თემატური (დარგობრივი) კომპეტენცია; 6. ტექნოლოგიური კომპეტენცია [8].

ეს კომპეტენციები ურთიერთდამოკიდებულია, შეუძლებელია მათი რანჟირებულად წარმოდგენა და ისინი იკვეთებიან კიდევ გარკვეულ არეალში. ექვსივე კომპეტენციის სფეროები აუცილებლად არის ჩართული თარგმანის კომპეტენციაში, ამდენად ექვსივეს ფლობა განაპირობებს მთავარ, თარგმანის კომპეტენციას.

თითოეული კომპეტენცია ცალკეული კომპონენტების ნაკრებს წარმოადგენს, ჩვენ ამჯერად ამ კომპონენტურ შემადგენელებს ზოგადად მიმოვიხილავთ, თუმცა კომპონენტების ჩამონათვალი საკამოდ ფართოა და მათი გაცნობა დაწვრილებითაც შეიძლება სათანადო დოკუმენტში.

მთარგმნელობითი მომსახურების გაწევის კომპეტენცია რამდენიმე კომპონენტს აერთიანებს. ის ორ განზომილებიანია: ინტერპერსონალური და პროდუცირების განზომილებები. ინტერპერსონალური განზომილება პირველ რიგში უკავშირდება მთარგმნელის სოციალურ როლს და მის ურთიერთობას დამკვეთთან, განიხლება რა ორივე საბაზრო მაკროპერსპექტივიდან (პოტენციური დამკვეთის საბაზრო

მოთხოვნა და მარკეტინგი) და ასევე მიკროპერსპექტივიდან (მოლაპარაკება დამკვეთთან, გაწეული მომსახურების ანაზღაურება). იგი ასევე მოიცავს დაგეგმვის, მენეჯმენტის და თვითშეფასების ელემენტებს. ამ კატეგორიაში მოქცეული სხვა ასპექტები გულისხმობს ასევე გუნდურ სამუშაოს და პროფესიულ სტანდარტებთან შესატყვისობას.

პროდუცირების განზომილება ეხება ტექსტის თარგმანს დამკვეთის მოთხოვნის და თარგმნითი სიტუაციის შესაბამისად. მთარგმნელს ასევე შეიძლება დაჭირდეს დამკვეთის წინაშე ზოგიერთი გადაწყვეტილების გამართლება და მასთან დისკუსიის დროს სათანადო მეტაენის გამოყენება.

მეორე კომპეტენციას წარმოადგენს ენობრივი კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენცია გულისხმობს შესაძლებლობას, გააცნობიეროს და აღიქვას A-ენაზე და სხვა სამუშაო ენებზე (B და C) გრამატიკული, ლექსიკური და იდიომატური სტრუქტურები, ასევე გრაფიკული და ტიპოგრაფიული პირობები; ამ სტრუქტურებისა და პირობითობების A და B ენებზე გამოყენება; ენის ცვალებადობის, ენების განვითარების გაცნობიერება.

ინტერკულტურული/კულტურათაშორისი კომპეტენცია ორგანზომილებიან კონსტრუქციას ქმნის: **სოციოლინგვისტური** კომპეტენცია მოიცავს სხვასთან ერთად იმას, რასაც სხვა მოდელებში ინტერკულტურულ კომპეტენციას უწოდებენ. **ტექსტური განზომილება** სხვასთან ერთად ასევე მოიცავს კულტურის ელემენტების იდენტიფიცირებას და შედარებას, ტექსტის მაკროსტრუქტურისა და კოჰერენტულობის ანალიზის, ტექსტის პროდუცირების უნარს ტექსტის სახეობის და რიტორიკული სტანდარტების შესაბამისად. მთარგმნელს ასევე უნდა შეეძლოს განსაზღვროს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ტექსტის გაგებას, და მან სათანადო ფორმით უნდა გადაჭრას ეს პრობლემები.

მეოთხე კომპეტენცია არის ინფორმაციის მოპოვების (data mining) კომპეტენცია. ის მოიცავს სათანადო ლიტერატურაში კარგად ჩამოყალიბებულ და განსაზღვრულ მთელ რიგ კომპონენტებს, როგორცაა “დოკუმენტური და ტექნოლოგიური კვლევის სტრატეგიების განვითარება”, ექსპერტებთან თანამშრომლობისა და ტექნოლოგიური ხელსაწყოების ეფექტიანად გამოყენების ჩათვლით.

თემატური/დარგობრივი კომპეტენცია უკავშირდება წინა კომპეტენციას, რადგან მთარგმნელს ჭირდება მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას დოკუმენტის თემის, დარგობრივი შინაარსის უკეთ გაგებას. მთარგმნელს ასევე ჭირდება განვიითაროს ცოდნა დარგის, დარგობრივი ცნებების, ტერმინოლოგიის და ა.შ. შესახებ.

მთარგმნელს უნდა ჰქონდეს ტექნოლოგიური კომპეტენცია, რომლის საბაზისო კომპონენტები არის პროგრამული უზრუნველყოფის ხელსაწყოების ეფექტიანი და სწრაფი გამოყენება, დღეს მხოლოდ ასეთი ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებების მეშვეობით არის შესაძლებელი ხარისხიანად და სწრაფად, კვალიფიციურად თარგმნა, დოკუმენტაციის კვლევა და ა.შ.

ზოგადად მთარგმნელთა კომპეტენციების ბევრი მოდელი არსებობს, მაგრამ EMT-ს კომპეტენციების ჩარჩოში მითითებულია ისეთი კომპეტენციებიც, რომლებიც არ არის სხვა მოდელებში. ჩვეულებრივ ეს არის პრაქტიკული და საკმაოდ დეტალურად გაწერილი უნარ-ჩვევები, რომელთაც უმეტესად მთარგმნელობითი მომსახურების გაწევის კომპეტენციას (მაგ., ზეწოლის ქვეშ მუშაობა, რაც უკავშირდება ვადებს და ინსტრუქციებს, დოკუმენტის კორექტურას და გადამოწმებას) და ინფორმაციის მოპოვების კომპეტენციას (მაგ., რომელიმე წყაროს სანდოობის კრიტიკულად შეფასება) განეკუთვნება.

სხვა კომპეტენციები, რომლებიც ჩარჩოში გაფართოებულად არის წარმოდგენილი, ეხება ტექნოლოგიურ კომპეტენციას (მაგ., მანქანური თარგმანის შესაძლებლობების და შეზღუდულობის გაცნობიერება) და ინტერკულტურული კომპეტენციის ტექსტური განზომილება (დაგეგმვა, პერეფრაზირება, რეკონსტრუქცია, შეკუმშვა, მანქანურად თარგმნილი ტექსტის დამატებითი კორექტირება და შინაარსის დაჯამება (summerising)).

აღნიშნული კომპეტენციების ასეთი განხილვა იმისთვის დაგეგმილია, რომ რეალურად დავინახოთ, თუ რა ამოცანები დგას იმ სასწავლო პროგრამების შემუშავებისას, რომლებიც ამ პროფესიულ კვალიფიკაციას უნდა ანიჭებდნენ. უდავოდ მისასაღებელია თუნდაც სამიოდე პროგრამის არსებობდა, რომელთაც მცდელობა აქვთ ასეთი კვალიფიკაციის სპეციალისტი მოამზადონ. თუმცა ამ მოთხოვნების ფონზე კრიტიკულად უნდა შევაფასოთ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ეს პროგრამები წარმოდგენილ მოთხოვნებს. როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზების გამო ამ შეკითხვაზე პასუხი დადებითი ვერ იქნება, რაც ერთმნიშვნელოვნად იმას

ნიშნავს, რომ არსებული პროგრამები სრულ მოდერნიზაციას უნდა დაექვემდებარონ, რათა ისინი თარგმანის კანონში მოექცნენ.

ამ მოსაზრების დასასაბუთებლად რამდენიმე მაგალითს მოვიშველიებთ.

### 3. ქართული დარგობრივი პროგრამების ანალიზი.

ევროკავშირი თავისთავად მულტილინგვურ ევროპას გულისხმობს, სადაც მრავალმხრივი და მრავალფეროვანი კულტურათა ტრანსფერია არსებითი, რაც უშუალოდ უკავშირდება მულტილინგვურ კომუნიკაციას. ეს მოთხოვნა ევროპული განათლების სისტემაში ყველა საგანმანათლებლო ეტაპზე ასახული ყველაზე დაბალი სასკოლოდან დაწყებული ვიდრე უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამები.

2000 წელს ხელმოწერილი და დეკლარირებული ბოლონიის პროცესმა საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე წამოაყენა მოთხოვნები, რომ ეტაპობრივად დაწყებულიყო კონკრეტული სტრატეგიების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესში ინოვაციების დაგეგმვას და შესაბამისად ძლიერი უმაღლესი განათლების სექტორის შექმნას. ევროპის საგანმანათლებლო სტრუქტურის საკითხებისადმი მიძღვნილი თუნინგის დოკუმენტის ერთ-ერთ ამოსავალ დევიზად ითვლება: **საგანმანათლებლო სტრუქტურებისა და პროგრამების შემუშავება მრავალფეროვნებისა და ავტონომიის საფუძველზე** [1]. თუმცა მრავალფეროვანი და ავტონომიური პროგრამა არ ნიშნავს კურიკულუმის აცდენას დარგობრივი კომპეტენციებიდან, რაც სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად გვხვდება ქართული უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში, ვინაიდან ხშირად აკადემიური პროგრამების შინაარსი გათვლილია მისი განმახორციელებლების კომპეტენციებსა და შესაძლებლობებზე.

ზემოხსენებული საპროგრამო დოკუმენტიდან ამონარიდი შემთხვევით არ მოგვიყვანია, ვინაიდან მასში ავტორები საფეხურებრივად წარმოადგენენ საგანმანათლებლო სტრუქტურის რეფორმის ცალკეულ პუნქტებს კონკრეტული დარგობრივი მიმართულებით, სადაც ძირითადად საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა ცალკეული დარგების განვითარების ამოსავალი დებულებები და დარგობრივი კომპეტენციებია განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ რეფორმის დასაწყისში დოკუმენტში წარმოდგენილი არ იყო ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგი. თუნინგის პირველ საფეხურზე ერთადერთი მიმართულება, რომლის აღწერასაც შეეცადა პროექტზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი იყო ისტორია, თუმცა ეს უკანასკნელი სავსებით შესაძლოა გააზრებული იყოს როგორც სოციალური მეცნიერება, რასაც არაერთი უმაღლესი განათლების დაწესებულება ითვალისწინებს ევროპულ სივრცეში.

ჰუმანიტარული მეცნიერებათა პროფილიდან ერთ-ერთი პირველი მიმართულება, რომლის სტანდარტზე ევროკომისია 2004 წლიდან მუშაობდა და უკანასკნელი 2012 წელს კვლავ დაექვემდებარა განმეორებით გადახედვას თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე იყო თარგმანმცოდნეობა/ტრანსლათოლოგია, რომელიც როგორც ინტერდისციპლინური დარგი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჩამონათვალში ნაკლებად უნდა განიხილებოდეს თავისი მრავალპროფილური კვლევისა და სწავლების ასპექტებით. ის მთელი რიგი ნიშნებით გამოყენებითი დარგების არაერთ მახასიათებელს ავლენს.

2009 წლის იანვარში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული და ამავე წლის მარტში დეკლარირებული კომპეტენციათა პროფილი ტრანსლათოლოგიის მიმართულებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს სამაგისტრო პროგრამებს თარგმანის დარგში. ევროპის მასშტაბით სტანდარტიზირებული სამაგისტრო პროგრამების პროექტში ჩართულია ევროკავშირის 20 წევრ სახელმწიფო 53 პროგრამით და 2 არაწევრი: გაერთიანებული სამეფო და შვეიცარია 15 სამაგისტრო პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალში მითითებულია როგორც თარგმანმცოდნის, ისე თარჯიმნის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამები, ძირითადი აქცენტი მაინც დარგობრივ თარგმანზეა გადატანილი. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი პრინციპული გარემოება, რომ წინამდებარე პროგრამებს რიგ ევროპულ უნივერსიტეტებში წინ უსწრებს აკადემიური პროგრამების უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, რომელიც კურსდამთავრებულს ანიჭებს ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაციას (BA of Arts) და არა ფილოლოგიის ბაკალავრი.

ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ამ ეტაპზე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წინამდებარე პროფილის თითზე ჩამოსათვლელი პროგრამა თუ მოიძებნება, არა და დღეს გლობალიზაციისა და

აქტიური კომუნიკაციის ერაში მთარგმნელი, თარჯიმანი ეს ის დარგებია, რომელთა გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება რაიმე სახის საერთაშორისო კომუნიკაციის დაგეგმა-განხორციელება.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თარგმანმცოდნეობის ერთადერთი პროგრამაა პირველ საფეხურზე, რომელიც ანიჭებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის კვალიფიკაციას თარგმანმცოდნეობაში. რაც შეეხება მეორე საფეხურის პროგრამას, მისი რაოდენობა 2 აღწევს, ხოლო თარგმანმცოდნეობა მოდულის სახით წარმოდგენილია დამატებით ორ სხვა პროგრამაში, კერძოდ, **ლინგვისტიკა** მოდულით *თარგმანმცოდნეობა* და **ევროპეისტიკა** მოდულით *ტრანსლატოლოგია*. სამაგისტრო საფეხურზე ყველა პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. ამ მხრივ ევროპული სასწავლო პროგრამები განსხვავებულად წარმოადგენენ მისანიჭებელ კვალიფიკაციას მეტწილად პროგრამაში მითითებულია ხელოვნების ბაკალავრი/ხელოვნების მაგისტრი ტრანსლატოლოგიაში, თუმცა არის შემთხვევები, როცა სამაგისტრო პროგრამაში მითითებულია მაგისტრი თარგმანმცოდნეობაში.

ქართული პროგრამების მიმოხილვამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირობითი ინდექსებით მოვნიშნოთ ამ ეტაპზე მოქმედი თარგმანმცოდნეობის პროგრამები, რათა თავიდან ავიცილოთ გარკვეული უხერხულობა. შესაბამისად, ქართული საგანმანათლებლო სივრცეში მუშაობს შემდეგი სასწავლო პროგრამები:

- $B^B$  - საბაკალავრო პროგრამა *თარგმანმცოდნეობა*
- $B^{Mlin(t)}$  - სამაგისტრო პროგრამა *ლინგვისტიკა მოდულით თარგმანმცოდნეობა*
- $B^{Mest(t)}$  - სამაგისტრო პროგრამა *ევროპეისტიკა მოდულით ტრანსლატოლოგია*
- $T^{mtotap}$  - სამაგისტრო პროგრამა თარგმანის თეორია და პრაქტიკა
- $T^{Mtais}$  - თარგმანმცოდნეობა და კულტურათაშორისო ურთიერთობები

ერთადერთი პროგრამაა  $T^{Mtais}$  რომელიც იძლევა თარგმანმცოდნეობის მაგისტრის კვალიფიკაციას, თუმცა აქაც ჩნდება კონკრეტული შეკითხვები, თუ რამდენად ასრულებს წინამდებარე პროგრამა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დგება თუ არა ევროპული სტანდარტით მოთხოვნილი შედეგი გამომდინარე პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსიდან.

### 3.1 ენობრივი კომპეტენციები

საკვალიფიკაციო ხარისხის შეთანადების შესაძლებლობა მოგვეცემა, თუ გავანალიზებდით სტანდარტული დარგობრივი კომპეტენციათა ცალკე პუნქტებს პროგრამის შინაარსის ნაწილში. ევროკომისია ამგვარ კომპეტენციათა ჩამონათვალს იძლევა მხოლოდ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, რომელზეც შემსწავლელის დაშვების წინაპირობად ითვლება ენობრივი კომპეტენციის კონკრეტული საფეხური სულ მცირე ორ ევროპულ ენაში, სადაც პირველი (A) ენის ცოდნა უნდა მიესადაგებოდეს ენის სწავლისა და სწავლების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს  $C^1$  საფეხურს, ხოლო მეორე (B) სამიზნე ენისა კი არანაკლებ  $B^2$  დონეს, რაც ამ ეტაპზე პროგრამაში  $B^B$ -ში ფაქტობრივად არ დასტურდება, კერძოდ, სასპეციალიზაციო ენა პროგრამის დასასრულს სტუდენტს  $B^2$ -ის კომპეტენციებს აძლევს ძირითად ენაში, პროგრამა არ ითვალისწინებს მეორე უცხოურ ენას. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ამავე უმაღლესი სასწავლებლის მეორე საფეხურზე პირველი უცხოური ენა უნდა აგრძელებდეს შემდეგი საფეხურის კომპეტენციებს, მაგრამ პროგრამაში  $B^{Mest(t)}$  სწავლების საფეხური  $C^1$ -ია, დაკარგულია შალედური საფეხური იმ სტუდენტთათვის ვინც ბაკალავრიატიდან მეორე საფეხურზე განაცხადს აკეთებს. რაც შეეხება მეორე სამაგისტრო პროგრამას  $B^{Mlin(t)}$ , მასში არც პირველი და არც მეორე უცხოური ენა არ არის შეთავაზებული სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. ორი მომდევნო პროგრამა ასევე არ არის გათვლილი ორ უცხოური ენის თარგმანის პროცესში გამოყენებაზე, მხოლოდ ერთი ენაა შეთავაზებულ და ისიც სწავლების პირველ სემესტრში  $B^1$ -ი დონე  $B^2$  გაუმჯობესების პერსპექტივით, ხოლო ენობრივი დონის აწევა დასახულია თარგმანის პრაქტიკის სამსემესტრიანი კურსით, რაც პრაქტიკულად კურსდამთავრებულს ნაკლებად შესძენდა შესაბამისი ენობრივი დონის კომპლექსურ, ინტეგრირებულ კომპეტენციებს.

### 3.2 მთარგმნელობითი მომსახურების უზრუნველყოფის კომპეტენცია

წინამდებარე კომპეტენცია ორი მიმართულებით ყალიბდება, ერთი მხრივ ინტერპერსონალური, ხოლო მეორე მხრივ კი პროდუცირების კომპეტენციების განვითარებას გულისხმობს მომავალ პროფესიონალში. ყველა ზემოხსენებული სასწავლო პროგრამა მეტადრე კონცენტრირდება კურსდამთავრებულისთვის პროდუცირების

კომპეტენციების განვითარებაზე, მეტ-ნაკლებად მაგისტრანტი ცალკეული დარგობრივი დისციპლინების საფუძველზე ახერხებენ მეტაენის შესწავლას, კერძოდ, წინამდებარე პროგრამებში სხვადასხვა საფეხურზე სტუდენტს შეთავაზებული აქვს, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული დისციპლინები, სადაც ის თარგმნის ტექნიკას, თეორიისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე ეუფლება. სანიმუშოდ ასევე შესაძლოა მოვიყვანოთ პროგრამა  $T^{mtotap}$ , რომლის შეთავაზებაშიც ასევე ვკითხულობთ იმ სამიზნე დარგის (იურისპროდენცია) შესავალ კურსებს, რომლის დარგობრივ თარგმანს პროგრამა სთავაზობს კურიკულუმის მონაწილეებს.

ზემოხსენებული პროგრამების არც მიზნებში და არც შედეგებში არ არის მკაფიოდ გაწერილი მთარგმნელის ინტერპერსონალური კომპეტენციების განმავითარებელი პუნქტები, რაც მნიშვნელოვანია მთარგმნელის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, კერძოდ, არსებითია, როცა მთარგმნელს შეუძლია ბაზრის მოთხოვნის შეფასება, დამკვეთთან ინტერაქციული კომუნიკაცია და რაც მთავარია, მას როგორც მთარგმნელს განვითარებული აქვს როგორც დამოუკიდებელი, ისე გუნდური კოოპერაციული მუშაობის ჩვევები.

წინამდებარე კომპეტენცია მიგვანიშნებს იმის თაობაზე, რომ მთარგმნელის პროფესიონალად ჩამოყალიბება ინტერდისციპლინარიზმზე დამყარებული სასწავლო პროგრამის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

### 3.3 ინტერკულტურული კომპეტენცია

ენობრივი კომპეტენციის შემდგომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კულტურათაშორისი კომპეტენციები, რომელიც ორი არსებითი შემადგენლის სოციოლინგვისტიკისა და ტექსტზე დამყარებული კვლევების ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ევროპული სასწავლო პროგრამებში იქნება ეს საბაკალავრო თუ სამაგისტრო, ორივე საფეხურზე პროგრამის მონაწილეებს სთავაზობენ ტექსტის კვლევების თეორიებსა და მეთოდებს და ცალკეულ არსებით თემებს სოციოლინგვისტიკიდან.

ქართული სასწავლო პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამის ავტორები ამ ორი მაპროფილებელი კომპეტენციებიდან მეტადრე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოციოლინგვისტიკურსა და ლინგვოკულტურულს, ეს კიდევ დაფიქსირდა სასწავლო საგნების კორპუსის ანალიზის შედეგად ( $B^B$ : კულტურის ისტორია, ქვეყანათმცოდნეობა, კულტურის კომუნიკაციის შესავალი, ლინგვოკულტუროლოგია, კულტურათაშორისი კომუნიკაცია;  $B^{Mlin(t)}$ : სოციოლინგვისტიკა, კომუნიკაციისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ლინგვისტიკური ტიპოლოგია;  $B^{Mest(t)}$ : ენა და კულტურა, ბილინგვური ინტერაქციის თეორია, თარგმანი და კულტურა, თარგმანი და სემიოტიკა;  $T^{mtotap}$ : ---;  $T^{Mtais}$ : თარგმანის ლინგვისტიკა, თარგმანი კულტურათა). რაც შეეხება ტექსტზე და ტექსტით ოპერირების ლინგვისტიკურ პროცესებს, რაც თარგმნის პროცესში წამყვანი და არსებითი კომპეტენციაა, ქართულ კურიკულუმებში ამ საკითხის შემსწავლელი დისციპლინები მინიმუმამდეა დაყვანილი ( $B^{Mlin(t)}$ : ტექსტის ლინგვისტიკა;  $B^{Mest(t)}$ :---;  $T^{mtotap}$ : ტექსტის თარგმანდელი ანალიზი;  $T^{Mtais}$ : დარგობრივი ტექსტის ანალიზი), იმ დროს როდესაც ევროპული სტანდარტი ამ მიმართულებით ითვალისწინებს: მაკროსტრუქტურების ანალიზს, წინარეცოდნისა და ტექსტის გაგების საკითხების შესწავლას, ტექსტის გლობალური სტრუქტურების ცოდნას, ტექსტის რედაქტირების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ თარგმანის პროცესი გარკვეულწილად ორი ენის, ორი კულტურის შეპირისპირებაა. მიუხედავად ამისა არც ერთ პროგრამაში არ აღმოჩნდა კონტრასტული ლინგვისტიკის შემსწავლელი დისციპლინა.

ქართული კურიკულუმები ინტერკულტურულ კომპეტენციებს ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ აძლევენ, რაც მათმა ანალიზმა აჩვენა, კერძოდ, ისინი მოკლებულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტზე ორიენტირებული სწავლების კომპეტენციას, თუმცა ტექსტზე მუშაობა ის არსებითი მიმართულებაა, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვანია მთარგმნელობითი მომსახურების უზრუნველყოფის კომპეტენციისათვის.

### 3.4 ინფორმაციის მოპოვების (data mining) კომპეტენცია

ინფორმაციის მოპოვების კომპეტენცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მთარგმნელის პროფესიაში, ის დოკუმენტებისა და ტერმინოლოგიის მოძიების სტრატეგიებს სახავს, პრაქტიკულად თარგმნის პროცესის უმნიშვნელოვანესი ტექნიკაა, რაც ავითარებს დარგის შემსწავლელში სანდო ინფორმაციის მოპოვების უნარ-ჩვევებს და წყაროზე მუშაობის ტექნიკას. თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეების ფონზე, დღეს უკვე მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ელექტრონული საძიებო მანქანების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ელექტრონული კორპუსისა და ლექსიკონების ჩართვა. ქართული სასწავლო პროგრამები ზემოხსენებულ



კომპეტენციებს პრაქტიკულად ვერ იძლევა, რაც შემდგომში კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობაზე იქონიებს გავლენას.

### 3.5 დარგობრივი კომპეტენცია

დარგობრივი კომპეტენცია თარგმანმცოდნეობაში, გამომდინარე იქიდან, რომ თავად დარგი ინტერდისციპლინურ სწავლებას ეფუძნება, მრავალპლანიანია და კომპლექსური. წინამდებარე კომპეტენციების შექმნა უცხოური ენების ფლობის, ტერმინოლოგიისა და ცნებითი აპარატის შესწავლით იწყება, ხოლო არგუმენტაციისა და პრეზენტაციის ტექნიკის დაუფლებით სრულდება. რა ვითარება დაგვხვდა ქართული კურიკულუმების მიმოხილვის შემდეგ, ფაქტობრივად ისინი ტერმინოლოგიის და ენათა სტრუქტურების შესწავლისა და ტექსტის ანალიზის დონეზე ნაწილობრივ იძლევიან დარგობრივ კომპეტენციებს, რაც ხორციელდება ძირითადად თარგმნის პრაქტიკული სემინარის საფუძველზე. ევროპული სტანდარტის კურიკულუმებში კი ამ კომპეტენციას დამოუკიდებელი თეორიული დისციპლინების ჩართვით (მაგ., როგორცაა ტერმინოლოგია, დარგობრივი ტექსტის სახეობები, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი და სხვ.) იქმნება დარგობრივი ცოდნის თეორიული საფუძვლები.

### 3.6 ტექნოლოგიური კომპეტენცია

დღეს პრაქტიკულად წარმოდგენილია ტრანსლატოლოგიის სწავლება ტექნოლოგიური კომპეტენციების გაუთვალისწინებლად, რაც ევროკავშირის სტრატეგიულ დოკუმენტის დარგობრივ აღმწერში დეტალურადაა გაწერილი. კომპეტენციების ამ პუნქტს საერთოდ არც ერთი დღეს მოქმედი ქართული სასწავლო პროგრამა არ უთმობს ყურადღებას, მიზეზად შესაძლოა დასახელდეს პირველ რიგში სათანადო ბაზების არ ქონა.

## 4. დასკვნა

სახით შესაძლოა აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე ქართული საგანმანათლებლო სივრცე ფაქტობრივად მზად არ არის თარგმანმცოდნეობის სასწავლო პროგრამების განხორციელებისათვის, რის მიზეზად უნდა დასახელდეს:

- დარგის ტრადიციის არ არსებობა;
- ტექნიკური ბაზის ნაკლოვანება;
- აკადემიური რესურსების სიმცირე;

ბოლონის პროცესში ჩართული კურიკულუმის წინაშე უმთავრეს მოთხოვნად სახელდება, მათი თავსებადობა და ჰარმონიზაცია, რათა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მიერ მოხილვის ფარგლებში განხორციელდეს სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტერნაციონალიზაცია დაფუძნებული აკადემიური თავისუფლებისა და ღიაობის პრინციპზე. წინამდებარე მოთხოვნა მეტადრე მნიშვნელოვანია თარგმანმცოდნეობის პროგრამისათვის, ისევე როგორც ის აქტუალურია უცხოენოვანი ფილოლოგიების შესწავლის დროს, ვინაიდან დარგობრივი კომპეტენციების ჩამონათვალში ერთ-ერთი არსებითი და წამყვანია კულტურათა დიალოგი, რომლის აღქმა და შემეცნება ყველაზე მარტივად სამიზნე ენის გავრცელების კოლექტიურ სივრცეშია შესაძლებელი. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ევროსაბჭოს მიერ დარგობრივი სტანდარტი განისაზღვრა, სასურველია ქართული საგანმანათლებლო სივრცე ეტაპობრივად მოემზადოს ამ დარგით დაინტერესებულ პირთ შესთავაზოს მაღალი სტანდარტის სასწავლო პროგრამები.

### გამოყენებული ლიტერატურა, ინტერნეტრესურსები:

- [1] Tuning 2008: *საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთხელშეწყობა ევროპაში*. რედ. ხ.გონზალესი, რ.ვაგემარი. II ნაწილი. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- [2] Edwards, Melinda/ Csizer, Kata 2004: *Developing Pragmatic Competence in the EFL Classroom*. English Teaching Forum, 42 (3), pp.16–21;
- [3] European Commission. 2006: Recommendation of the European Parliament and of the Council of 18 December 2006 on key competences for life long learning. Official Journal of the European Union. Available at: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32006H0962&from=EN>. Belgium. (20.03.2017);

- [4] **European Commission.** Translation. 2007: *European Master's in Translation*. Available at: [https://ec.europa.eu/info/european-masters-translation-emt\\_en](https://ec.europa.eu/info/european-masters-translation-emt_en). Belgium. ( 20.03.2017)
- [5] **European Parliament, Council** 2008: Recommendation of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on the Establishment of the European Qualifications Framework for Lifelong Learning. Available at: [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008H0506\(01\)&from=EN](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008H0506(01)&from=EN). Belgium. (10.03.2017);
- [6] **European Commission.** 2008: *Explaining the european qualifications framework for lifelong learning*. Available at: [https://ec.europa.eu/ploteus/sites/eac-efq/files/brochexp\\_en.pdf](https://ec.europa.eu/ploteus/sites/eac-efq/files/brochexp_en.pdf). Belgium. (20.03.2017)
- [7] **European Commission.** 2009: *European Commission. European Master's in Translation (EMT) Strategy*. Available at: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008SC2443&rid=1>. Belgium. (20.03.17)
- [8] **European Commission, Education&Training.** 2009: *Strategic Framework for Education and Training*. Available at: [http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-policy/doc44\\_en.htm](http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-policy/doc44_en.htm). Belgium. (10.04.2011);
- [9] **European Commission.** 2011: *Commission working document on recent developments in European high educations systems*. Available at: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011SC1063&rid=1>. Belgium. (20.03.2017);
- [10] **Recognition of skills and qualifications.** Available at: [https://ec.europa.eu/education/policy/strategic-framework/skills-qualifications\\_en](https://ec.europa.eu/education/policy/strategic-framework/skills-qualifications_en) (20.03.2017);
- [11] **Kasper, Gabriele** 1997: *Can pragmatic competence be taught?* (NetWorks No. 6). Honolulu: University of Hawaii, Second Language Teaching&Curriculum Center. Available at: <http://www.lll.hawaii.edu/nflrc/NetWorks/NW6/> (10.03.2017).